ვინც სიკეთისკენ მოუწოდებს, მას ექნება მსგავსი მადლი, როგორიც ამ სიკეთის გამკეთებელს, ამით მათ გაკეთებულ მადლს არაფერი მოაკლდება

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც სიკეთისკენ მოუწოდებს, მას ექნება მსგავსი მადლი, როგორიც ამ სიკეთის გამკეთებელს, ამით მათ გაკეთებულ მადლს არაფერი მოაკლდება, ვინც ცოდვისკენ მოუწოდებს, მას ექნება მსგავსი ცოდვა, როგორიც ამ ცოდვის გამკეთებელს, ამით მათ გაკეთებულ ცოდვას არაფერი მოაკლდება».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, განმარტა, რომ ის, ვინც ასწავლის, მიუთითებს ან მოუწოდებს ადამიანებს ჭეშმარიტებისა და სიკეთისკენ სიტყვით ან საქმით, მიიღებს ისეთივე ჯილდოს, როგორიც მას, ვინც მის გზას გაჰყვება. ამავდროულად, მიმდევრის ჯილდო არაფრით არ შემცირდება. ხოლო ვინც აჩვენა და მიუთითა ხალხს ცუდი გზისკენ რომელზეც არის ცოდვა, შეცდომა ან რაიმე აკრძალული საქმე, სიტყვით თუ ქმედებით, ის მიიღებს მსგავს ცოდვას და ტვირთს, რასაც ამ ცოდვის ჩამდენი მიიღებს ისე, რომ ცოდვის ჩამდენის ცოდვას არაფერი მოაკლდება.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3373

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee